

ლიტერატურული ხელობა



ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის“ დამატება
№2, 3 მარტი, ორშაბათი, 2025 წელი




გზავნილი დედამიწას
„აკვარიუმის“ სპექტაკლიდან:


„ვარდი და გვირგვინი“:

„თუკი სიცოცხლე ვარდია, სიკვდილი მისი
გვირგვინია. მთავარია, ვინ როგორ გაივლის ამ
გზას ვარდიდან გვირგვინამდე...“



ადამიანებო, გაუფრთხილდით სიცოცხლეს!
გაუფრთხილდით ერთმანეთს!
დააფასეთ ყოველი წუთი, რომელიც შეიძლება
ბოლო იყოს თქვენთვის!
გიყვარდეთ სიცოცხლე, ნიშნავს, გიყვარდეს
ღმერთი საკუთარ თავში.“





ნორები



ქადაგი

ეკატერინე, ის პრობლემა, რაც წამოჭრილია თქვენს ნოველაში: „ნიგიარ – თათრის გოგონას სახელი“ („ლიტერატურული გაზეთი“, 2025, 14 თებერვალი), კვლავაც მწვავედ დასა ჩვენი მუსულმანი თანამოქალაქების წრეებში: სრულიად ყმანვილი გოგონას გათხოვება.

ამ ნოველაში სერგოფარავანოვიც შემოდის პერსონაჟად და ქრონილოგიურად საუკუნის წინანდელი ამბავი უნდა იყოს მოთხოვილი, მაგრამ თითქოსდა ჩვენი დღევანდელობის ტრაგედიას ვკითხულობდეთ, სიყვარულით ანთებული და თავსმოხვეულ საქმროს გამოქვეული გოგონა მატარებლის ბორბლებს რომ უნდა შეწიროს.

რამდენადც ვიცნობ თქვენს დოკუმენტურ თუ მხატვრულ პროზასა და დრამატურგიას, თქვენთვის მახლობელია მოდერნისტული ლიტერატურული ხერხები, მაგრამ ამჯერად, თემატიკისა და პრობლემის გამოისობით, შეგნებულად აგირჩევით ძველმოდურად შერაცხილი სტილისტიკა, და ამითაც მიანიშნებთ მკითხველს: ვითომდა, ძველმოდურობას თავისი დანიშნულებაც და მნიშვნელობაც რომ შეუნარჩუნებია; და ის მელოდრამატიზმიც, რითაც განმსჭვალულა თხრობა, სულაც არ არის გვერდასაქცევი.

როსტომ ჩხეიძე

ნიგიარ – თათრის გოგონას სახელი

ნიგიარ თათრის გოგოა, აშოლტილი ტანითა და მოხდენილად მომრგვალებული თეძოებით. მოდის ქუჩაში და თეძოებს ისე ლამაზად მოაქნევს, სისხლს გაგიყინავს, თავბრუს დაგახვევს. გულს ამოგაცლის და თან გაიყოლებს. მკერდზე ოქროსფერი ლითონის მძივები ჩხარუნობენ. ფერადი თავშლიდან მსხვილი შავი ნაწნავი წელს ქვემოთ დასრიალებს. ხუჭუჭა თმის კულულები დაუდევრად დასტუნაობენ თეთრ დიდ შუბლზე. სულის შებერვით იცილებს თვალებიდან, რადგან ხელებს არ სცალიათ. აქეთ-იქით ორი კალათა უჭირავს. ერთში მასავით ფერადი საქსოვი ძალები ჩაუყრია. მეორეში კი უკვე ნახევრად მოქსოვილი სქელი ჭრელ-ჭრელი ნაქსოვები.

დიდ მაღაზიაში მუშაობს გამყიდველად. შესვენებაზე სხვა გოგოები რომ საჭელს მიირთმევენ, ის ყველას ემალება და ამ ჭრელ-ჭრულებს სწორედ მაშინ ქსოვს. იმ ერთ საათსაც ამისთვის იყენებს. თანაც ღილინებს. გულით ღილინებს და შავი თვალები ვარსკვლავები ხდებიან ამ ღროს. ვარსკვლავებად ანთებული „ნაპერნებალები“.

ჰო, ასეთია ნიგიარ... თათრის გოგო... შავ-შავ თვალება...

ერთ თვეში ქორნილი აქვს... საქმროს არ იცნობს. მხოლოდ რამდენჯერმე თუ უნახავს, ისიც მალულად, შორიდან. ოფიცერიაო, უთხრეს. მაღალი კაცი ჩანდა. მხარეშიანი. დიდ ლიპებიანი მუნდირითა და თეთრი პერანგით. ჰმ! მამაზე ასაკით ცოტათი პატარა... ან იქნებ... ეჱ! რა იცის! როდესაც ახლოს ნახავს და გაიცნობს, მერე ზუსტად გაიგებს, რა და როგორ. ეგ კი არის, რომ ყოველ მის მოსვლაზე გული უცემს უსიამოვნობაგა-ბუგით! თითქოს ნივთი იყოს. უზარმაზარი სავარძელი! ანდა კარადა! და მას, როგორც ნივთს, ისე ასხვისებდნენ!

ესეც საჩუქრების სია! მომავალი სიძის დაპირებული საქორნინო ძღვენი!.. წინასწარ შეთანხმებული რაოდენობაცა და ხარისხიც. ამდენი ბუმბულის საპანი, ამდენი სული საქონელი, მოვერცხლილი სამოვარი, ხალიჩა, ოქროს სამეცნიერები.

ჰაჸ! გაამდიდრებს თავის ოჯახს ნიგიარ ნივთად გასხვისებული! ჰო! გაამდიდრებს და სამუდამოდ ამოისუნთქებს მამა ვალებისაგან... და ძმებიც... მისი ძმებიც... სხვა ბიჭებივით მოიყრიან ფეხს ხალიჩებზე, ყალიონს რბილად გააბოლებენ და მერე ისინიც იფიქრებენ ლამაზი ცოლების შერთვაზე. ჰატარა ძმას, ალის, უკვე შეგულებულიც ჰყავს. 14 წლის გოგო. თუმცა, რა გოგო! უფრო ბავშვი!

არც თავად ნიგიარ არის დიდი! მანაც სულ ახლახან გადადგა ნაბიჯი ბავშვობიდან გოგონობაში და მერე? როგორ წავა ნიგიარის ბედი ამ გოგონობაში? მერე, ალბათ, ისიც შეურიგდება სხვისგან მიკუთვნებულ, ხელში შეჩეჩებულ ბედს. ბევრ შვილს გაუჩენს ჯერ მისთვის უცნობ კაცს, სადილს გაუკეთებს. მიეახლება. მიემსაურება! სახლის კედლებში გამომწყვდეული ფრინველი გახდება ისიც! როგორც არაერთი

სიტყვამოკუმული! ფრთაშეკეცილი! ფრთაჩამოჭრილი! ცუდია ფრენა! ფრენაც და სიყვარულიც! მას ასე ასწავლიან. არადა, ორივე რომ სწადია? და ორივე რომ სურს და ძალუძა!

ჰეჱ! თათრის გოგოა ნიგიარ! ტანაშოლტილი! ხანძარივით დამწველი მზერით...

იმ დღეს მაღაზიაში შესვენებისას, როდესაც კუთხეში მიიყუჯა და ქსოვა დაინტერესონი ახალგაზრდა ყმანვილი კაცი წამოადგა თავზე. დიდი ქურთუკი ეცვა, ოდნავ შეხსნილი. ქრისტიანული ჯვარი მოუჩანდა ქურთუკის შიგნით. განიერი შარვლის ჯიბეში ჩაეყო სიცივისაგან გათოშილი ორივე ხელი. შეკრთა ნიგიარ! წარბები აზიდა! ის იყო უნდა დაეფრთხო ეს არამკითხე ყმანვილი და საიდანაც მოსულა უკან იმავე გზით მიებრძანებინა, რომ უნებურად კრინტი ვერ დაძრა. რაღაცნაირად სევდიანი მოეჩვენა. უსაზღვროდ კეთილი თვალებით იცირებოდა.

საოცარი სიმშვიდე დაეუფლა უცებ ნიგიარს... ამოუცნობი... მიმნდობი... მაღამოსავით ჩაეღვარა ეს სიმშვიდე მკერდში.

ყმანვილი იღიმოდა. მერე იმ ჯიბიდან, რომელშიც გათოშილი ხელები დიდხანს ეწყო, ძალიან ბევრი ბრჭყვიალა თვალი ამოაცურა მუჭით და ერთიანად ჩაუცალა ნიგიარს ძაფების კალათაში.

– იცი... სხვა დროსაც შემიმჩნევია, რომ ქსოვ. ჰოდა... ნაქსოვებისთვის გამოგადგება, – თქვა ხმადაბლა. ძალიან რბილი, თბილი ბგერებით... და ამ თვლებივით აუბრჭყვიალა ნიგიარს თვალებიცა და გულიც.

– რა გქვიათ? – იკითხა დაბნეულმა შიშნარევად, სწრაფად არ დაეკარგა ეს კეთილი სახე ამდენ ხალხში.

– მე სერგო ვარ.

– სერგო?

– ჰო, სერგო. სერგო ფარაჯანოვი. სტუდენტი. თბილისიდან. და შენ რა გქვია?

– ნიგიარ.

– ნიგიარ... ლამაზი სახელია ნიგიარ. ჩემს თბილისში ალბათ მხოლოდ შენ გერქმევა.

– მე?

– ჰო, შენ! როცა წავალთ, – გაულიმა.

– და საიდან იცი, რომ იმ შენს თბილისში წავალთ?

– წავალთ, წავალთ! რადგან ისეთ სიფერადეს, როგორსაც იქ ნახავ, სხვაგან ვერსად იძოვი. შენ კი ფერადოვნება, ვატყობ, ჩემსავით გიყვარს.

– ჰო... ფერები განსაკუთრებით მიყვარს.

– მაინც... მაინც რომელია შენი ფერი?

– ზუსტად არ ვიცი... ალბათ...

– სულ! (ანყვეტინებს), არ თქვა... არ თქვა და შემდეგში მე თავად გამოვიცნობ, კარგი?

– კარგი.

– შევთანხმდით. ახლა კი მოგშორდები. მაღაზიაში გავივლი და იმ სამოცი კაპიკით, რომელიც დარიბ სტუდენტს ჯერ კიდევ ჯიბეში მიჩრიალებს, იაფფასიან ძეხვს ვიყიდი, თორემ ძალიან მომშივდა. – ნიგიარ იცინის. ჯერ ხმადაბლა, მერე კი კისკისით. იცინის სერგოც. ორივე გულით. გულწრფელად. გადამდებად.

მთელი დღე ეს კისისი რჩება ნიგიარს გუნებაში. ქუჩაში, სახლში...

ოჯახი კი ნიგიარის ქორწილის სამზადისშია ისევ. თანხის გადანაწილების გაანგარიშება! წინასწარ მორთმეული ძღვენის დაბინავებ-დაბანდება, ქორწილზე დასასწრებ ადამიანთა რაოდენობის ჩამოწერა, ქორწილის ხანგრძლივობის გათვლა და ა.შ. ნიგიარის გათხოვების მერე ყველაფერი, ყველაფერი სასიკეთოდ უნდა შეიცვალოს. მათვის!

ნიგიარს კი სულაც არ ადარდებს ეს ყოველივე. თითქოს მას არც ეხებოდეს! თავის ოთახში იკეტება ნიგიარ და ქსოვას იწყებს ისევ. აი, ამ გორგლით განაგრძობს და დიდ მოსაცმელს მოქსოვს. ფერად-ფერად თვლებს შეურევს ფერად-ფერად ძაფებს. ზღვისფერს – მზესავით წითელთან მოათავსებს, მწვანეს ხორბლისფერთან, შავს თეთრი გაანათებს და ასე. საოცარი! რამდენი ფერია ამ სამყაროში! და მის კალათაშიც... ამდენი თვალი... ზოგი ისეთია, ნამდვილი მარგალიტიც კი გეგონება.

ერთ ცალ თვალს იღებს ნიგიარ. ოქროსფერ მოჩრიალე მძივებთან ერთად იმაგრებს გულზე.

– ე.ი. სერგო... სერგო ფარაჯანოვი... (ელიმება) დაა... მაინც, რომელია... ნეტავა, რომელია ჩე

რამხელა ბარიერი... რამხელა ბარიერი... ბრჭყვიალებენ სერგოს მოცემული თვლები... ნეტავ, გამოჩნდება ისევ სერგო? ისევ მოვა მალე? თუ...

ეჰ, არ აქვს აზრი.

არ აქვს აზრი... და... სერგოც მოდის!

პატარა ჩანთა უჭირავს ხელში ფარავანოვს. პირდაპირ დებს ნიგიარის ცხვირწინ. ისევ ის ღიმილი. ის თვალები. ღმერთო! რა კეთილია! თითქოს მტრედი შეფრენილა თვალების გუგებში და იქიდან სერგო კი არა, სწორედ ეს მტრედი იცქირება.

ღმერთო, რა კეთილია!

ღმერთო, რა კეთილია!

ჩანთას ხსნის სერგო. ჩანთიდან ვეებერთელა წითელ ბრონეულებს იღებს და ნიგიარის ფერადი ნაქსოვის გარშემო ალაგებს.

– ბევრი ვიფიქრე და... ბრონეულისფერია, ნიგიარ, შენი ფერი!

– ... (გაკვირვება).

– რადგან ბრონეულებია შენი ტუჩები თავად.

– ... (სიმორცხვე).

– მე მხატვარი ვარ. მომავალი კინორეჟისორიც და ახლა შენ, როგორც ფილმში ჩასმულ ულამაზეს კადრს, ისე გიცქერ... (ცქერა). წამოხვალ თბილისში, ნიგიარ?

– მართლა ლამაზია თბილისი, სერგო?

– მაააშ! თბილისი ყველაზე ლამაზი ქალაქია, ნიგიარ, მთელ დედამიწაზე. წარმოიდგინე, ვინრო ქუჩებზე ჩამწკრივებული ფერადი სახლები, გზებზე გადმოკიდებული მოჩუქურთმებული აივნები, მოხვეული კიბეები. კლდოვან შემაღლებულზე შესკუპებული მეტების უბანი და მის საპირისპიროდ უტეხად მდგარი ციხე, სახელად – ნარიყალა. ქვემოთ კი ლილინა მტკვარი. ხალხი თბილი, თბილი... მოლიმარი... მემაწვეც კი პირველივე ნახვით შეგაყვარებს თავს... ჰერთ! ასეთი ლამაზია ჩემი თბილისი... მითხარი, ხომ გჯერა ჩემი, ნიგიარ?

– ისე ჰყვები... უნდა მჯეროდეს ალბათ.

– რა თქმა უნდა, ნიგიარ, უნდა გჯეროდეს ჩემი. მე ხომ სერგო ვარ! სერგო – ნალდი თბილისელი!

– რას ნიშნავს „ნალდი თბილისელი“, სერგო?

– ეს ნიშნავს იმას, რომ შეგიძლია ბოლომდე მენდო!

– ე. ი. მართლა ნავალთ იმ შენს თბილისში, სერგო?

– მართლა... მართლა... მანამდე კი აქ... ჩემთან... ბრონეულისფერ კაბას ჩაგაცმევ სადედოფლოდ თეთრის მაგიერ... და ეგ ტუჩებიც ბრონეულებით (მღერის).

– ეგ... როდის?

– მალე... სულ მალე...

დგება ის „მალეც“. ნიგიარ მხოლოდ საკუთარ ნაქსოვებს იღებს სახლიდან და ლამით მალულად იპარება.

ჰო... ასე გადაწყდა! უსიყვარულო ცხოვრებას ყველაფერი ურჩევნია თათრის გოგონას, თუნდაც ეს ყველაფერი მისი სიცოცხლის ბერვის ხიდს გადიოდეს. დღეიდან ვერავინ და ველარაფერი შეძლებს ნიგიარს მოექცეს ისე, როგორც ნივთს! ვერავინ! და ვერაფერი! დაე, დასრულდეს ყოველგვარი მითი გამოგონილი ბედისა თუ „ბედისწერების“ თაობაზე, იქ, სადაც არსებობს ადამიანი თავისი თავისუფალი ნებით!.. ჰო! ნიგიარის თავისუფალი ნება ნებისმიერ ბედისწერას აღემატება! ჯერ აქეთ იცხოვრებენ ის და სერგო... ამ ქალაქში, სადაც სერგო სწავლობს. ბრონეულისფერ კაბას ჩააცმევს სერგო. მარგალიტისფერ თვლებს დააბნევს მკერდზე. მერე კი თბილისში წაიყვანს თათრის გოგონას. ფეხდაფეხს მოატარებს ყოველ კუთხესა თუ კუნძულს.

მართლაც, ლამაზი უნდა იყოს თბილისი! თბილისმა ხომ სერგო გაზარდა... ასეთი თბილი... ასე ალალი... ჰოდა, სხვაგვარად შეუძლებელია! მით უმეტეს, რომ იქ ბევრი სერგოს მსგავსი ცხოვრობს. როგორც სერგო ამბობს, „ნალდი თბილისელი“, რაც უპირატესად გულისხმობს ნდობას! „მეს“ სანდოობას! ნდობა კი თავისთავად არის დიადი სილამაზე უკვე!

სიამის დღები ხანგრძლივი არ არის... ძმები სტუმრობენ ნიგიარს... გაგიუბული... შეურაცხყოფილი ძმები!

სიძის ძღვენი დიდი უნდა იყოს იმისთვის, რომ ნიგიარ დარჩეს სერგოსთან! აბა, ისე როგორ! როგორ უნდა სერგოს სხვაგვარად?! ყოფილმა საქმრომ, ოფიცერმა, საქორნინო ძღვენის ნაწილი უკვე დატოვა მაშინ და ის ნაწილი სწრაფადვე გახარჯეს ძმებმა... ახლა კი, გარდა იმისა, რომ სარგებელი ვერ ნახეს, უფრო მეტი ვალიც დაედოთ! ჰოდა!.. უნდა ნახონ ძმებმა ეს სარგებელი! მათი ჰირობა ასეთია: დაბრუნდეს ნიგიარ საკუთარ სახლში, რომელიც დატოვა დედ-მამის უნებართვოდ! დაე, წამოვიდეს ამ ქრისტიანი, უცხო რჯულის ბიჭისგან! ანდაც კეთილი ინებოს და გაიღოს გამოსასყიდი სერგომ! ხოლო სერგოს სტუდენტობა და მისი სიმდიდრ-სილარიბე რა მოსატანია ძმებთან?!

ულტიმატუმის ვადა 2 კვირა!

არადა, ალსრულდება თათართ ადათი!

თათართ ადათი! თათართ ადათი!.. ტირის ნიგიარ: „შენ არ იცნობ ჩემს ძმებს, სერგო. შენ არც კი იცი, მათ რა შეუძლიათ. ჩემმო კეთილო, ლამაზო, სერგო!“

სერგო დგება. ბოლთას სცემს ოთახში. გამოსავალს ეძებს ლარიბი სერგო.

სხვა გზა არ არის. ჯანდაბას თავმოყვარეობა! წერილი უნდა მისწეროს მამას.

მამა მდიდარი ჰყავს თავად ლარიბს. მაგრამ საქმე ის არის, რომ... არ ელაპარაკება. უბრად არიან ერთმანეთთან მამა და შვილი! მამას სურს, რომ ვაჭრობას მიჰყოს ხელი სერგომ, რადგან, მისი აზრით, ეს უფრო გაუადვილებს ცხოვრებას მის შვილს. სერგოსთვის კი ხელოვნება ყველაფერია. ამის გარეშე ერთი დღეც ვერ იცოცხლებს სერგო. ამიტომაც სწავლობს ახლა ხელოვნების სასწავლებელში და გრძნობს, რომ ზუსტად იქ არის, სადაც უნდა იყოს!

სწორედ ამ მიზეზით ემდურის მამა. მათ არ ესმით ერთმანეთის. სიმართლე რომ თქვას, არც არასდროს ესმოდათ.

მაგრამ ჯანდაბას! ამჯერად მაინც მისწერს. რაც არ უნდა იყოს, ხომ მამა მაინც... და ყველაფერს აუხსნის სერგო. ოლონდ ახლა დაეხმაროს, ოლონდ ახლა და... ჰპირდება, ყველაფერს კაპიკ-კაპიკ დაუბრუნებს შემდგომ.

იმედით ივსება ნიგიარ. ხელებს უკოცნის ფარაჯანოვეს... თვალებს... იმ კეთილ თვალებს, რომელიც პირველივე წამიდან ასე შეიყვარა.

დორ გადის...

მამისგან პასუხი არ არის.

ფულიც არ არის! არც სიმშვიდეა!

ყველგან თან დაატარებს ნიგიარს სერგო! ყველგან! სულ ყველგან! მაგრამ ადათი? თათართ ადათი? მაინც რომ უნდა მოხდეს გარდაუვალი და... ალსრულდეს ადათი?!

ჰოდა, გადაწყდა!

უნდა გაიქცნენ აქედან ნიგიარ და სერგო!

ჰო! უნდა გაექცნენ იმ ყველაფერს, სადაც სიყვარულის გაგება შეუძლებელი ხდება!

და მხოლოდ იქ იცხოვრონ, სადაც ასე ცხოვრებაა შესაძლებელი.

რა, განა ეს არ არის სიცოცხლის არსი?!

ბარგა კრავს სერგო. ერთ პატარა ბარგა, რომელშიც მთელი მათი ქონება ჩატეულა და მირბიან ორივენი სადგურისაკენ. მალე მატარებელიც ჩამოდგება და ჰერი!.. თავს დაალწევენ ამ დიდ განსაცდელს.

მაგრამ ადათი? თათართ ადათი?!

სადგურის ბაქანზე ჩნდებიან ძმები. ჩანს, გაუგიათ ყველაფერი.

– ნიგიარ არსად არ წამოვა! – იმეორებენ ისევ (გამოსასყიდი ხომ არავის მიუცია მათოვის?!).

– თქვენ კეთილი ადამიანები ხართ. კეთილი ადამიანები კი მუდამ სიყვარულის მხარეს დგებიან, – ამბობს სერგო და ისე ალალად, ისე ბავშვური სიწრფელით იცქირება, მისი შემხედვარე ვერც კი დაიჯერებ, თუკი სადმე მისხალი ბოროტება მაინც არსებობს.

ზურგს უკან უდგას სერგოს ნიგიარ. მის განიერ მხრებს ამოფარებული. ნიგიარსაც სწავლას ამ წუთებში იმ საერთო ღმერთის, რომელსაც თვით სიყვარული ეწოდება.

და ჰა, უნდა დაიძრას მატარებელი... და ის არის, რომ უნდა შეახტეს ორივე ვაგონს, რომ ძმების ველური მკლავები თმებში სწვდებიან ნიგიარს. ლიანდაგებში აგდებენ მოულოდნელად.

რელსებს ეხეთქება უნაკლო სხეული.

ფერადი შარფი დაშვებული ალამივით ფრიალებს თავზე.



3 მარტი



ნადი...

ეტყობა, უკვე ვერ იტან გორს.
დიდ ქალაქს ნეტა რით მიუხვალ?
იქ არ იუღერებს ნელი ტანგ,
დიდ ქალაქს სწრაფი რიტმი უყვარს.
იქ მილიონი შეგისრუტავს.
გადაგექცევა მგონი ჯართად
ნატვრა, რომელიც შეგისრულდა
ნებით დაჩიქილს გორიჯვართან.
თავს გევლებოდა არჩაქელილ
ბალახთა ველი, მოლივლივე
გიხანგრძლივებდა არჯაკელი
ბუდუარივით მოვლილ იმედს...
ნადი, დიდ ქალაქს მიეტმასნე
და გაიჩინე უცილობლად
ფიქრი უშაქრო დიეტაზე...
უმარილობა... უცილობა...
შენი ოცნების აეროდრომს
ეწვია ბევრი აფერისტი,
იქ უნდა ამინდს დაელოდო
თავისუფალი აფრენისთვის.
გზა მშვიდობისა, ჩემო კარგო
და თუ თბილისის ბულვარებმა
ლამაზ ქათიბად შემოგარგონ
შენი წარსულის მდუმარება.
ნუ დაივინებ იმ მშვენიერ
სიყვარულის დღეს, ლოცვამისვილს,
რომელსაც მუდამ ვიშველიებ,
უშენოდ ყოფნა როცა მიჭირს.

* * *

გზად ბევრი ვინმე შემოგვეყარა,
საიდან მოდის, ვინ დაპკარგვია.
შენა თქვი ერი, თორემ ქვეყანად
ნებისმიერი მიწა კარგია.
თანაბრად ახრჩიბს დაწება მდორე
კაცთა კაცურთა და უკაცურთა.
შენა თქვი ეკლის გვირგვინი, თორემ
დაწნის გვირგვინი გაუფასურდა.
ნეტავი თავი რისთვის მომქონდა
ამ ახოვანი მთების იერით!?

შენა თქვი ქრისტე, თორემ გოლგოთად
მთა გამოდება ნებისმიერი.

11 თებერვალს, ხაშურის საბიბლიოთების გაურთიანების ეგიდით,
„ახალგაზრდული ცენტრის“ დარბაზში თანამედროვე ქართული
პოეზიის კლასიკოსთან, ბ-ნ ჯემალ ინჯიასთან შეხვედრა მოეწყო.
ლონისძიებას, ხაშურელ შემოქმედებთან ერთად, ესწრებოდნენ
ხელოვანი ადამიანები გორიდან და ქუთაისიდან.

სამშაბათს

სამშაბათს,
სამში,
საათის
სამზე
ჩემთან მოგიყვანს ცხოვრების ეტლი.
მე სიხარულით ვიქები სავსე
და სიყვარულზე ვერაფერს გეტყვი.
სამშაბათს,
სამში,
საათის
სამზე
ერთმანეთის რომ ვიქებით მდომინი,
ჩემთვის ამოვა სრულიად სხვა მზე,
ჩემთვის წამოვა სხვაგვარი თოვლი.
სამშაბათს,
სამში,
საათის
სამზე
მოხვალ ქურდულად და ყაჩალურად.
ფერმერთალ ლოყაზე გაკოცებ წამსვე,
შენც დაიმორცხვებ და თავს ჩაღუნავ.
სამშაბათს,
სამში,
საათის
სამზე
შენ ჩემს ოთახში შემოხვალ მარტო,
ისე დაჯდები გამოწვდილ სკამზე,
რომ არ გაიხდი არაფრით მანტოს.
ხვალ ჩემი ეზოს ჭიშკარს მოვტიხრავ
და გავუკეთებ პატარა სამზერს,
რომ დაგინახო, როგორ მოდიხარ
სამშაბათს,
სამში,
საათის
სამზე

გააჩნია, საიდან იყურები

ცხოვრება ზოგჯერ არის ბორდელი,
სადაც კლიენტი საფასურს იხდის
მიტომ, რომ პირზე ნერწყვის მომდენი
ქალი ტანსაცმელს თავისით იხდის.
არ ვეპუები დრო-ჟამს მომქანცველს,
თუმც ხმამაღალი არ ვარ საყვირი,
ბევრი ნამგვარეს, ცოტა მომგანძეს,
არაფერია აქ გასაკვირი.
მას კი, ვინც ფიქრობს, რომ ძირს დავეშვი,
რომ დაღმართზე ვარ უკვე გასული,
მხედველობის მხრივ უჭირს თვალებში
და ვერ ულესავს ჭკუას ქასური.
მე ისევ მალლა მიმაფრენს ქარი –
თუშფალანგით ზღვის ურჩ ამომხვეტავს,
ყველა დაღმართი აღმართი არის,
ღვთის სიმაღლიდან თუ ჩამოხედავთ.

ძველი ხიდი

მახსოვს, შრიალებდა ვერხვი
ხიდის დარაჯივით მდგარი.
მახსოვს, რომ არწევდა ძველ ხიდს
ჩვენი ოცნებების ქარი.
ხიდის ბურჯებთან რომ ვშლიდით
ტკბილს და ტკივილიან ტაბლას,
მტკვარი მოღელავდა მშვიდი,
ცხენის-- შრიალებდა-- წაბლა.
ბევრი სადლეგრძელო გვისვამს:
ეს იმ მარტოხელა გამვლელს...
ეს იმ შეყვარებულს, ვისაც...
ეს იმ უბილეთო მგზავრებს...
ეს იმ უპატრონო ტუსალს...
ეს იმ გაჭირვებულ მთხოვნელს...
ძველ ხიდს ჩვენთან ერთად უსვამს,
ისიც ტორტმანებდა ხოლმე.
იგი მაახლოებს ჭარმაგს
ნეტარ ბავშვობასთან, თორემ
წლების უხალისო ჯარმა
ლამის გამიყენოს შორეთს.
მახსოვს, არ გვიშლიდი, ხიდო,
რკენას მოზღვავებულ ჯანთან.
გორი ხელისგულზე იდო,
ზეცა ჩვენს თვალებში ჩანდა.
მახსოვს, სალდათების როტა
ფესვებს გვიწუხებდა ძელქვის...
დროთა მეკავშირეს, დროთა,
ძველ ხიდს გაუმატჯოს, ძველ ხიდს!

დარიალის ხეობა

ყოველი ბორცვი და ნაკადული
აქ არქაული ფილტვებით სუნთქავს,
ხარბი მეზობლის დანაქადურით,
შემკრთალო ხალხო, გპირდებით სულდგმას.
თერგის ბუხბუხი, ჩქარი ზვირთები,
ქართველო, იმის საწინდარია,
რომ არ ძველდები, არ იზინთები
არ უჟანგდები კაცი დარიასლ.
მე მინდა ვიყო ის ურიამული,
რასაც ხალისით მომისმენს ხევი,
ქალს მყინვარწვერის ნისლში ამური,
ისარს უმიზზებს ონისეს ხელით.
აქ თოვლი გოჩას თეთრი წვერივით
ედება აღვირახსნილ მდინარეს.
პატარძლის შუბლს კი ზედ მიწერილი
ბედის ვარსკვლავი ასხივმფინარებს.
ისევ შევწირავ ხევისბერთანაც
ცხვარს სიონისთვის, გუდანისათვის,
ისევ ძელებურს მღერის ბერდანა,
ყრუ – დამნაშავის მუდარისადმი.
ისევ რთულ კითხვებს მაყრი, ონისევ,
ისევ ცოცხლდება ფრესკად ასული,
ისევ აყრილი მაყრიონისებრ
ხმაურობს თერგი წრეს გადასული.